სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5005687024

18/09/2024

5005687024

სს "რეალ ინვესტი"-ს წარმომადგენელს ქალბატონ ნინო ლომინაძეს

(საქართველო, თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. 150)

ქალბატონო ნინო,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2024 წლის 27 აგვისტოს რეგისტრაციის N1006936024) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N006521624 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5005687024

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ.
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი [illegible] (ხელმოწერა) მ.ა

თარიღი 19.09.2024

006521624

ექსპერტის დასკვნა № 006521624

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სს რეალ ინვესტი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო. თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. 150

სახელი და გვარი: ნინო ლომინაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ლევან ჩოფიკაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 18 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ ექვემდებარება თუ არა შენობა დემონტაჟს, მდებარე ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი #71-ში (ს/კ 01.17.12.006.008).

შემოსვლის თარიღი: 27/08/2024 წ

გასვლის თარიღი: 18/09/2024 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ.#71-ში (საკ. კოდი 01.17.12.006.008) მდებარე შენობა #13/1-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. მართალია ამ ეტაპზე შენობის ნგრევის საშიშროება არ არსებობს, თუმცა აღნიშნული სახით მისი ექსპლუატაცია არასაიმედოა. სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, მისი გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება არარენტაბელური და გაუმართლებელია, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ლევან ჩოფიკაშვილი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ.#71-ში (საკ. კოდი 01.17.12.006.008) მდებარე შენობა #13/1 ტექნიკური მდგომარეობის და დემონტაჟის საჭიროების დადგენის მიზნით. აღნიშნული შენობა სავარაუდოდ აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში. შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო, გეგმაში მართკუთხა

ფორმისაა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით 13.0x10.0 მ და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1). შენობის კონსტრუქციულ სქემას წარმოადგენს მზიდკედლებიანი სისტემა, რომლის 40 სმ სისქის კედლები მოწყობილია ბეტონის მსხვილი ბლოკებით (ფოტო 2). წინა მხრიდან ფასადის კედლების ნაწილი მოწყობილია ტუფის ქვით (ფოტო 3) და მცირე ზომის ანაკრები ბეტონის ფილებით (ფოტო 4), ხოლო უკანა ფასადზე კარის ღიობის მიმდებარედ შეინიშნება სილიკატური აგურის წყობა (ფოტო 5). გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ფილებით. სიმაღლე იატაკიდან გადახურვის ფილამდე შეადგენს 3.40 მ. შენობის სახურავი ბრტყელია რულონური ბურულით. შენობაზე უკანა მხრიდან მოწყობილია მიშენება, რომლის კედლებიც ამოყვანილია ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობით (ფოტო 6). უკანა მხრიდან შენობის მთელ სიგრძეზე ხის კონსტრუქციებით მოწყობილია გადახურვა (ფოტო 7), რომლის ბურულსაც წარმოადგენს თუნუქის ფენილი და აზბესტოცემენტის ტალღოვანი ფილები (ფოტო 8).

შენობის ვიზუალური შესწავლისას დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: დაზიანებული სახურავის ფენილის გამო შენობაში ხდება ატმოსფერული ნალექების შემოღწევა, რის გამოც ჭერზე და კედლებზე ფიქსირდება დანესტიანების კვალი (ფოტო 9-:-11); მობინადრის გადმოცემით, სახურავის ფენილის არაერთგზის შეცვლის მიუხედავად პრობლემა ვერ აღმოიფხვრა; დაზიანებულია შენობის უკანა ფასადის კედელი (ფოტო 12), ხოლო კარის ღიობის მიმდებარედ ნაწილობრივ ჩამოშლილია სილიკატური აგურით მოწყობილი კედელი (ფოტო 5); შენობის უკანა ფასადზე ხის კონსტრუქციებით მოწყობილი გადახურვა შესრულებულია კუსტარული კვანძებით და მისი ექსპლუატაცია არასაიმედოა; როგორც ძირითადი შენობის, ისე მიშენებული ნაწილის კედლების თავზე არ არის მოწყობილი ანტისეისმური სარტყელი, რაც არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს (Ენ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, მუხლი 15, პუნქტი 7: „ყველა ტიპის აგურის (ბლოკის) შენობებისათვის აუცილებელ ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს სახურავის და გადახურვის დონეზე (ან მის ქვეშ) გრძივი და განივი კედლების პერიმეტრზე ანტისეისმური სარტყელის მოწყობა“); ამასთან ერთად, შენობის კედლების კონსტრუქცია არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს (Ენ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, მუხლი 15, პუნქტი 1: „მზიდ და არამზიდ ელემენტებში იკრძალება სილიკატური აგურის გამოყენება“); ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შენობის მზიდი კედლები შესრულებულია სხვადასხვა სამშენებლო მასალისაგან და მათ შორის სათანადო კავშირი არ არსებობს (ფოტო 13; 14); სახურავის ბურულად აზბესტოცემენტის ტალღოვანი ფილების გამოყენება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N133/ნ ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“). ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. მართალია ამ ეტაპზე შენობის ნგრევის საშიშროება არ არსებობს, თუმცა აღნიშნული სახით მისი ექსპლუატაცია არასაიმედოა. სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, მისი გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება არარენტაბელური და გაუმართლებელია, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ამრიგად, ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ.#71-ში (საკ. კოდი 01.17.12.006.008) მდებარე შენობა #13/1-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. მართალია ამ ეტაპზე შენობის ნგრევის საშიშროება არ არსებობს, თუმცა აღნიშნული სახით მისი ექსპლუატაცია არასაიმედოა. სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, მისი გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება არარენტაბელური და გაუმართლებელია, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ლევან ჩოფიკაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003 შენობა ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესები.

2. Ენ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" Ენ. 01.01-09

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

006521624

ექსპერტის დასკვნა № 006521624

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი



ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია



006521624

ექსპერტის დასკვნა № 006521624

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14

კვლევა

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩა №71-ში არსებული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2025 წლის 25 მარტი

დამკვეთის, სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“-ს დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩა №71-ში, სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“-ს (ID ნომერი 202283135) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.12.006.008] მდებარე სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების (შენობა 13/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, ზემოხსენებულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებული, სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის განხორციელების დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით.

დამკვეთმა წარმოადგინა შემდეგ მასალები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. „ქ.თბილისი. ქუჩა ქ. წამებულის №71. საკადასტრო კოდი 01.17.12.006.008 არსებული შენობის დემონტაჟის გეგმა. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი“;
3. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა №006521624;

სადემონტაჟო შენობა-ნაგეობების ტერიტორიას ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან**-სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე -

ქეთევან დედოფლის გამზირი; **აღმოსავლეთიდან** - სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“-ს (ID ნომერი 202283135) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.17.12.005.032 (ქალაქი თბილისი, ქ. წამებულის ქუჩა №71 (ნაკვ. 006/007); **სამხრეთიდან** - საზოგადოებრივი სივრცე - უშანგი (შმაგი) სოფრომაძის ქუჩა და მის გასწვრივ მდებარე თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.1№7.12.021.008 (ქალაქი თბილისი, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის ქუჩა №21); **სამხრეთ-დასავლეთით** - მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.17.12.006.024, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებით. მიწის ამ ნაკვეთზე დოკუმენტები არ მოიძებნა. **დასავლეთით** - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები: №01.17.12.012.022; №01.17.12.012.002; №01.17.12.011.004 მათზე განლაგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობებით; **ჩრდილო-დასავლეთით** - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.17.12.007.001 მასზე მდებარე მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით და მობინადრეთა ავტოფარეხებით.

სადემონტაჟო შენობა №13/1 სავარაუდოდ აშენებულია გასული სუკუნის პირველ ნახევარში. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 13.6X13.0 მ. განთავსებულია სწორ რელიეფზე შენობის კონსტრუქციული სქემა მზიდკედლებანი სისტემაა, რომლის 50 სმ სისქის კედლები შერეული წყობისაა: წყობაში გამოყენებულია ტუფის ქვა; სილიკატური აგური; წვრილი სამშენებლო ბლოკები; მცირე ზომის ანაკრები ბეტონის ბლოკები. საძირკვლები ლენტური ტიპისაა. სასხვენო გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებით. სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3.36 მ-ია. შენობის სახურავი ბრტყელია, რულონური მასალის ბურულით. შენობას არ გასაჩნია ანტისეისმური სატყელი. შენობაზე უკანა მხრიდან მოწყობილია მიშენება, რომლის კედლებიც შესრულებულია წვრილი სამშენებლო ბლოკის და აგურის წყობით. დახურულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი თუნუქის

ფურცლების ბურულით. ტორსის მხრიდან შენობაზე მოწყობილია გადახურვა ხის კონსტრუქციებით, თუნუქის ფურცლების ბურულით.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის 2024 წლის 18 სექტემბრის №500687024 დასკვნით, შენობას გააჩნია მნიშვნელოვანი დაზიანებები, ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს.

სადემონტაჟო შენობას უშუალოდ ესაზღვრება №01.17.12.006.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები სადემონტაჟო შენობიდან ძალიან დიდი მანძილებით არან დაშორებული, ამიტომ მათზე ზეგავლენას არ განვიხილავთ. ვინაიდან საიტზე „თბილისის არქიტექტურა“ საკადასტრო გეგმა არ იძენება, №01.17.12.006.024 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობების დანომრვა აღებულია ორთოფოტოდან: შენობა №04/1; შენობა №19/1 და მათ შორის არსებული შენობა, რომელიც ორთოფოტოზე არ ჩანს და შესაბამისად დაუნომრავია. სადემონტაჟო შენობის ძრთადი ნაწილი აღმოსავლეთ კუთხეში მომიჯნავე შენობა №04/1-დან დაშორებულია 4.30 მ-ით. სადემონტაჟო შენობის ამ ნაწილში არსებული მიშენება, ზომებით 4.30X3.0 მ, ებჯინება შენობა №04/1-ს. მათ საერთო კონსტრუქციულ ელემენტები არ აქვთ. შენობის დასავლეთ ნაწილში მანძილი გამმიჯნავ ღობემდე - 5.8 მ-ია. ღობე წარმოადგენს შენობა №04/1 და შენობა №19/1-ის კედლების გაგრძელებას, შესრულებულია აგურის და წვრილი სამშენებლო ბლოკის შერეული წყობით. ღობეს რამოდენიმე ადგილზე, მთელ სიმაღლეზე აქვს მნიშვნელოვანი ზომის ვერტიკალური გამჭოლი ბზარები. დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით რეკომენდებულია მისი გამაგრება ან ახლით ჩანაცვლება.

შენობა №04/1 - ის ტორსული კედელი ემთხვევა მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ წითელ საკადასტრო ხაზს. შენობა აშენებულია გასული საუკუნის შუა ხანებში. გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, დაახლოებითი ზომებით 84.0X12.0 მ. სიმაღლე 4.0 მ. შენობის კონსტრუქციული სქემაა აგურის მზიდკედლებიანი

სისტემა. ანტისეისმური სარტყელი არ გააჩნია. სასხვენო გადახურვა და ორქანობიანი სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, დაღარული მოთუთიებული თუნუქის ფურცლების ბურულით. შენობის მზიდი კონსტრუციების მოწყობა დღეს მოქმედ სამშენებლო ნორმებს არ შეესაბამება. მუხედევად ამისა, შენობას ბზარები და სხვა სახის მნიშვნელოვანი დეფორმაციები არ აღენიშნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადემონტაჟო შენობის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთ კუთხეში მომიჯნავე შენობა №04/1-დან დაშორებულია 4.30 მ-ით. სადემონტაჟო შენობის ამ ნაწილში არსებული მიშენება, რომელიც ებჯინება შენობა №04/1-ს, წარმოადგენს 25სმ სისქის სილიკატური აგურის კედლებიან ერთსართულიან დამხმარე ნაგებობას. ნაგებობა დახურულია ფიცრების ელემენტებზე მოწყობილი დაღარული მოთუთიებული თუნუქის ფურცლების ბურულით. მათ საერთო კონსტრუქციულ ელემენტები არ აქვთ. მიშენებული ნაწილის დემონტაჟი, შენობა №04/1-ის დაზიანების გამორიცხვის მიზნით, მთლიანად უნდა მოხდეს ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით. ძირითადი შენობის დემონტაჟი, მცირე სიმაღლის (4.0 მ) და შენობა №04/1-მდე მანძილის (4.3 მ) გამო, ზეგავლენას არ მოახდენს შენობა №04/1-ზე. **შენობა №19/1** - ის გრძივი კედელი ემთხვევა მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ წითელ საკადასტრო ხაზს. გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, დაახლოებითი ზომებით 16.0X8.0 მ. სიმაღლე 5.0 მ. შენობის კონსტრუქციული სქემაა მზიდკედლებიანი სისტემა. კედლები შესრულებულია მსხვილი საკედლე ბლოკებით და მონოლითური ბეტონით. სასხვენო გადახურვა მოწყობილია ანაკრები რკნაბეტონის ფილებით. სახურავი ერთქანობიანია, მოწყობილია ხის კონსტრუქციებით დაღარული მოთუთიებული თუნუქის ფურცლების ბურულით. შენობის მზიდი კონსტრუციების მოწყობა დღეს მოქმედ სამშენებლო ნორმებს არ შეესაბამება. მუხედევად ამისა, შენობას ბზარები და სხვა სახის მნიშვნელოვანი დეფორმაციები არ აღენიშნება. მინიმალური მანძილი სადემონტაჟო შენობამდე 6.0 მ-ია. ძირითადი შენობის დემონტაჟი, მცირე სიმაღლის (4.0 მ) და შენობა №04/1-მდე მანძილის (6.0 მ) გამო, ზეგავლენას არ მოახდენს შენობა №04/1-ზე. **დაუნომრავი ნაგებობა**, რომელიც

განთავსებულია წინა ორ შენობას შორის, წარმოადგენს გადახურული ფარდულის ტიპის ნაგებობას. გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, დაახლოებითი ზომებით 18.0X12.0 მ. სიმაღლე - დაახლოებით 4.50 მ. ნაგებობა შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებით, დახურულია დაღარული მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით. შემომფარგლავი კონსტრუქციები არ აქვს, სადემონტაჟო შენობიდან მინიმალურ მანძილი 5.0 მ-ია. ძირითადი შენობის დემონტაჟი, მცირე სიმაღლის (4.0 მ) და შენობა №04/1-მდე მანძილის (5.0 მ) გამო, ზეგავლენას არ მოახდენს შენობა №04/1-ზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სადემონტაჟო შენობის დემონტაჟის სამუშაოები ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე, მათთვის დამატებითი სპეცალური ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არის.

სიტუაციის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

სამშენებლო-სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკა 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლს 27 მაისის №361 დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დასკვნა

ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩა №71-ში, სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“-ს (ID ნომერი 202283135) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.12.006.008] მდებარე შენობა 13/1-ის (საკადასტრო გეგმის მიხედვით) დემონტაჟის სამუშაოები ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი მურმან გეგია

დანართი 1

კვლევის ამსახველი ფოტომასალა



სადემონტაჟო შენობა



შენობა 04/1-ის ტორსის კედელი



მიშენება სადემონტაჟო შენობაზე



შენობა № 04/1



მიწის ნაკვეთების სკ № 01.17.12.006.008 და სკ № 01.17.12.006.024გამმიჯნავი ღობე



დაუნომრავი ნაგებობა



შენობა 19/1-ს ტორსული კედელი



შენობა 19/1-ის გრძივი კედელი

CV



მურმან გეგია

ეროვნება:	ქართველი
სქესი:	მამრობითი
დაბადების თარიღი:	12/08/1952
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპ. 401, ბ. 38
	E-mail: murmangegia12@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

2016 წლიდან:	შპს „ბალავერი“ - დირექტორი
2008 წლიდან:	სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: - საცხოვრებელი, სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების პროექტირება 2008 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობების მდგომარეობის გამოკვლევის შეფასება 2013 წლიდან.
2008÷2011 წწ.	შპს „მერიდიანი 44“ -მშენებლობის ზედამხედველი, განყოფილების უფროსი.
1992÷2012 წწ.	სს „ხიმინჯი 75“ - უბნის უფროსი, კონსულტანტი.
1987÷1992 წწ.	მშენებლობის სამინისტროს №2 ტრესტის ს.ს.უ - სამუშაოთა მწარმოებელი.
1984÷1987 წწ.	გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის სამსენებლო-სამონტაჟო სამმმართველო - უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
1974÷1984 წწ.	მშენებლობის სამინისტროს #2 ტრესტის მ.მ.კ. №19 - ოსტატი, სამუშაოთა მწარმოებელი, უბნის უფროსი.
1973÷1974 წწ.	სახწლმწიფო ინსტიტუტი „საქსახპროექტი“ - ინჟინერ-კონსტრუქტორი.

განათლება

1968÷1973 წწ.	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.
ენები:	ქართული - მშობლიური; რუსული - სრულყოფილად.
კომპიუტერული პროგრამები	AutoCAD; MS Word.
სხვადასხვა:	ა/მანქანის მართვის მოწმობა „B“ კატეგორია

დიპლომი

Я № 178767

ეს დიპლომი მიეცა გეგიას

მურმან გალაქტიონის-ძეს

მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა

ვ.ი.ლენინის სახ. საქართველოს

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1973 წელს დაამთავრა

ასპირანტურა ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

სამხედრო-საზღვაო სამოქალაქო

მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1973 წ.

„ 29 “ ივნისის გადაწყვეტილებით

მას გეგიას მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1973წ. „ 10 “ X

სარეგისტრაციო №ს1048

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 178767

Настоящий диплом выдан Гегия

Мураману Галактионовичу

в том, что он в 1968 году поступил

в Грузинский политехнический

ин-т им. В.И. Ленина

и в 1973 году окончил полный курс

названного института

по специальности

Промышленное и гражданское

строительство

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „ 29 “ июня 1973 г.

присвоена квалификация

инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „ 10 “ X 1973 г.

Регистрационный № 1048

Московская типография Гознака. 1972.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
მურმან
MURMAN
გვარი / LAST NAME
გეგია
GEGIA
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01027043092
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
12.08.1952
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
21.04.2032
ბარათის No / CARD No
20ID72598
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
სენაკი
SENAKI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
21.04.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2020
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO2OID72598601027043092<<<<
5208122M3204212GEO<<<<<<<<<<<8
GEGIA<<MURMAN<<<<<<<<<<<<<<<<

შრომითი ბიოგრაფია

სახელი და გვარი: მურმან გეგია

მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, III მ/რ, კორპ. 312, ბ. 60

მობ: 599 78 13 05

დაბადების თარიღი: 1952 წელი 12 აგვისტო

განათლება: 1973 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

შრომითი გამოცდილება

საპროექტო სამუშაოები:

- ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობის დაპროექტებაში მონაწილეობა.
- კალინინის სახელობის ქარხნის მშენებლობის დაპროექტებაში მონაწილეობა.

აშენებული ობიექტები:

- საშუალო სკოლა და გამწმენდი ნაგებობა გარდაბნის რაიონში.
- მწერალთა დასასვენებელი სახლის ნაწილი ბიჭვინთაში.
- „სანტექნამზადის“ ბაზა თბილისში.
- საცხოვრებელი სახლი, სკოლა და საავადმყოფო დმანისის რაიონში.
- მიწისძვრისაგან დაზიანებული სკოლის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქცია.
- ტრანსპორტის სამინისტროს სასწავლო კომბინატი.
- წიგნის ბაზა ორხევში.
- ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა ორხევში.
- საბავშვო ბაღი ვაზისუბანში.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მშენებლობის ნაწილი.
- ქარხანა „მიონი“-ს საწარმოო კორპუსის საინჟინრო კომუნიკაციები.
- წყლის რეზერვუარი 5000 მ^3 ტევადობის.
- ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საინჟინრო კომუნიკაციები და კეთილმოწყობა.
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საინჟინრო კომუნიკაციები.
- დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-მიშენება თბილისში.
- შპს „მერიდიანი 44“-ის საწარმოო კორპუსის მშენებლობის ზედამხედველობა.

2016 წლიდან მონაწილეობას ვღებულობ საწარმოო და კომერციული ობიექტების, საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაში, ვაწარმოებ შენობებისა და პროექტების კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასებებს.